ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N12/კ-კ

ქ. მცხეთა 17 ნოემბერი **2014** წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N34 განკარგულების თანახმად, ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში" შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, N1414 კონკურსში გამარჯვებული შპს „ნითა-2008", წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ მაჩხანელის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –"ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სოფ. ჭილაანთკარში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუსაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა" (CPV71200000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.#7.

5.2 დასრულებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 24 ნოემბერს.

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

6.5 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.

7.3 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულიშემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულშემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივადმიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბერი ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტი ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7 ს/კ 236098824	შპს „ნითა-2008“ მის: ქ. მცხეთა, გამსახურდიას ქ. 13 ს/კოდი: 236097022
სს „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი	სს „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22** ა/ა NGE11LB0120118541380000	ბანკის კოდი: **LBRTGE22** ა/ა NGE94LB0113181847299000
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი	დირექტორი
ზურაბ აბესაძე	ზურაბ მაჩხანელი 599 185425